ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# პრეზენტაცია GAEC

## ავტორი François Heyraud

Frankfurt School of Finance & Management
German Excellence. Global Relevance.

MERCY CORPS

RDFG for better future

AGRICULTURES & TERRITOIRES CHAMBRES D'AGRICULTURE FRANCE

# მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთში (2016 წელს)

437 000 ფერმა

237 000 ინდივიდუალური ტიპის = 64 % ( -11% 2010-დან)

157 000 საზოგადოებრივი ფორმის = 36 % (+ 6%)

რომელთაგანაც 18 % არის GAEC (ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაერთიანება) (83 000)

ფერმერების (საკუთარი ფერმის ხელმძღვანელების) 55% არის GAEC-ის წევრი.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# რატომ უნდა შევქმნათ საზოგადოება

აღნიშნული საშუალებას იძლევა:

- გაიმიჯნოს საოჯახო საქმიანობისა და პროფესიული საქმიანობა.
- მოხდეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო აღჭურვილობის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების საჭიროების იდენტიფიცირება.
- მოხდეს ფერმის საბანკო ანგარიშის და პერსონალური ანგარიშის გაყოფა.
- უზრუნველყოფილი იყოს საწარმოს გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა.
- მოხდეს ფერმის ნაწილ-ნაწილ და პერიოდულად გადაცემა სხვისათვის; უფრო ადვილია რომ დათმოთ რაღაც კონკრეტული ნაწილი, ვიდრე მოხდეს აღჭურვილობის ან ნახირის გაყოფა.

# სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმები საფრანგეთში

## 2 ძირითადი კატეგორია

<u>სამოქალაქო საზოგადოებები</u>

ამგვარი ტიპის საზოგადოების **წევრების პასუხიმგებლობა შეზღუდული არაა.** ეს იმას ნიშნავს რომ, საზოგადოების კრედიტორებს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლიათ ასოციაციის წევრების პირადი ქონებიდან.

საგადასახადო კუთხით, საზოგადოება ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. მოგება ნაწილდება წევრების წილების პროპორციულად, თითოეული წევრი გადასახადებს იხდის საკუთარი შემოსავლის პროპორციულად.

# სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმები საფრანგეთში

## 2 ძირითადი კატეგორია

<u>კომერციული საზოგადოებები.</u>

ამგვარი ტიპის საზოგადოებაში, მისი წევრის **პასუხისმგებლობა** შემოიფარგლება იმ წილის პროპორციულად რომელსაც ის ფლობს.

ვრცელდება ანალოგიური საგადასახადო რეჟიმი, როგორც სხვა საზოგადოებებზე. თვითონ საწარმო იხდის გადასახადებს მისი შედეგების მიხედვით (33%). პარტნიორები იღებენ დივიდენდს თავიანთი წილების პროპორციულად.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

## 3 ტიპის სამოქალაქო საზოგადოება, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების სამართავად.

- სასოფლო-სამეურნეო ფერმების სამოქალაქო საზოგადოება (SCEA)

- ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაერთიანება (GAEC)

- შეზღუდული პასუხისმგებლობის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება (EARL).

კომერციული საზოგადოებები იშვიათად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

| | საზოგადოება<br>SCEA | საქმიანობის გაერთიანება<br>GAEC | სასოფლო-საძეურნეო გაერთიანება<br>EARL |
|---|---|---|---|
| ფორმა | სამოქალაქო საზოგადოება | სამოქალაქო საზოგადოება | სამოქალაქო საზოგადოება |
| წევრები | მინიმუმ 2<br>არ არის მაქსიმალური რაოდენობა<br>შესაძლებელია არა ფერმერი<br>იურიდიული პირი + | მინიმუმ 2<br>მაქსიმუმ 10<br>შესაძლებელია მეუღლეები<br>მხოლოდ ფერმერი წევრები | მინიმუმ 2<br>მაქსიმუმ 10<br>შესაძლებელია არა ფერმერი წევრი |
| საზოგადოების კაპიტალი | არ არის მინიმალური რაოდენობა | მინიმუმ : 1 500 € | მინიმუმ : 7 500 €<br>ფერმერები : მინიმუმ 50 % |
| სამუშაოებში მონაწილეობა | არ არსებობს ვალდებულება | სავალდებულოა ყველასათვის | სავალდებულოა ფერმერი წევრებისათვის |
| მართვა | მარტივი ან მრავალფეროვანი<br>წევრი ან არაწევრი | მარტივი ან მრავალფეროვანი<br>სავალდებულოა წევრი | მარტივი ან მრავალფეროვანი<br>სავალდებულოა ფერმერი წევრი |
| საერთო კრება | კაპიტალის შესაბამისი ხმის უფლება | 1 ადამიანი = 1 ხმა | ხმის უფლება<br>პროპორციულია საკუთრებაში არსებული წილისა |
| პასუხისმგებლობა | წევრთა პასუხისმგებლობა :<br>განუსაზღვრელია<br>საზოგადოებაში კუთვნილი<br>წილების პროპორციულად. | თითოეული წევრის<br>პასუხისმგებლობა<br>შემოისაზღვრება მისი<br>წილის 2- მაგი<br>რაოდენობით | თითოეული წევრის<br>პასუხისმგებლობა<br>შემოისაზღვრება მისი<br>შენატანებით |

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD
AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# GAEC

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# GAEC

## განმარტება

- შეიქმნა 1962 წლის 8 აგვისტოს კანონით.
- ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაერთიანება(GAEC) არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დამახასიათებელია სოფლის მეურნეობისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს ფერმერებს გაერთიანდნენ სამუშაოების ერთობლივად საწარმოებლად, ისეთ პირობებში, რომლებიც განსხვავდება საოჯახო პირობებისგან.

# GAEC

## განსაზღვრება

- როგორც ნებისმიერი საზოგადოება, GAEC-ი არის იურიდიული პირი. მისი შემადგენელი წევრებისაგან დამოუკიდებლად, მას აქვს სახელწოდება, იურიდიული მისამართი, ფუნქციონირების ხანგრძლივობა, ქვეყნისადმი კუთვნილება.
- მას შეუძლია იყიდოს და გაყიდოს საქონელი და მომსახურეობა.
- მას შეუძლია იყოს საბანკო ანგარიშის მფლობელი.
- მას შეუძლია დაასაქმოს პერსონალი.
- ის აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხას საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით.

# GAEC

## მიზანი

- GAEC-ის მიზანია გაერთიანებული ფერმერების მეურნეობების ერთობლივი ძალებით განვითარება და ერთობლივი მუშაობის უზრუნველყოფა. მისი მიზანი შესაძლებელია ასევე, იყოს მისი წევრების შრომის ნაყოფის გაყიდვა.
- „ტოტალურ“ GAEC-ს აქვს მიზანი სრულიად გააერთიანოს მისი წევრების ყველა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; იმ შემთხვევაში თუ მოხდება მხოლოდ სამუშაოთა ნაწილის ერთობლივი მართვა, ნიშნავს რომ ეს არის ნაწილობრივი GAEC-ი.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# GAEC

**ხანგრძლივობა** : განსაზღვრულია წესდებით (20-დან 50 წლამდე), შესაძლებელია ამ ვადის გახანგრძლივება.

**წევრები** : 2-დან 10-მდე. წევრი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც პირადად არის დაკავებული სოფლის მეურნეობით. წევრები შესაძლოა იყვნენ ცოლი და ქმარი, დები და ძმები, მშობლები და შვილები, მეზობლები, ნათესაური კავშირის გარეშე მყოფი პირები და ა.შ...

François Heyraud

# GAEC

## წევრები

GAEC-ი შედგება :

- უკვე არსებული ფერმების გაერთიანებისგან.
- ახალი წევრების მიღებისგან (მაგალითად: მამა იღებს თავის შვილს მის ფერმაში სამუშაოდ).

ახალი წევრის მიღება შესაძლებელია GAEC-ის არსებობის პერიოდში. ახალი წევრი შენატანების სანაცვლოთ იღებს წილს საზოგადოების კაპიტალიდან. მას ასევე შეუძლია შეიძინოს წილები სხვა წევრებისგანაც.

# GAEC

**საზოგადოების კაპიტალი** : განსაზღვრული ან ცვალებადი.

ის შედგება მისი წევრების შენატანებისგან. მაქსიმუმ 5% თითოეულისგან.

შენატანების განხორციელება შესაძლებელია ფულადი და ნატურის სახით (ტექნიკა, საქონელი).

# GAEC

## ფუნქციონირება

**ყველა წევრმა ეფექტურად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო სამუშაოებში** და გაერთიანების მართვაში: სამუშაოებში, რომლებისთვისაც ისინი იღებენ ანაზღაურებას.

საზოგადობის წევრებმა უნდა განახორციელონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა

**ექსკლუზიურად და სრული განაკვეთით**, საერთო გადაწყვეტილებით ერთ ან რამდენიმე წევრს შესაძლებელია მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს სხვა საქმიანობა გაერთიანების გარეთ.

# GAEC

## ფუნქციონირება

- GAEC-ის მართვა ხდება ერთი ან რამდენიმე მმართველის მიერ, რომლებიც აირჩევა წევრებიდან. შესაძლებელია, რომ ყველა წევრს ქონდეს მმართველის ფუნქციები.

- წევრები მონაწილეობას იღებენ საერთო კრებაში, სადაც მათ აქვთ ხმის უფლება. ხმის მიცემა ხდება კოოპერატივებისათვის არსებული პრინციპის თანახმად: „1 ადამიანი = 1 ხმა“.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# GAEC

## ფუნქციონირება

- წევრები იღებენ ანალოგიურ ანაზღაურებას მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.
- წლის ბოლოს სარგებელი ნაწილდება საზოგადოების კაპიტალში თითოეულის წილის შესაბამისად.
- ის არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს. თითოეული წევრი იხდის მისთვის განკუთვნილ გადასახადებს.

# GAEC

საზოგადოების მოქნილი ფორმა, რომელიც შექმნილია მათთვის, ვისაც სურთ იმუშაონ ერთად.

საოჯახო გაერთიანებებისათვის: მამა-შვილი, ძმები ან ბიძაშვილები....

ფერმების გაერთიანებებისათვის, მეზობლებისათვის (ძალზე გავრცელებულია მერძეულ ფერმებში)

ახალგაზრდების ჩასართავად

მომავლის შესაქმნელად